



თანამონაწილეობა და მონიტორინგი ცვლილებებისათვის

საგრანტო კონკურსი 2015 წლის 13-14 ივნისს თბილისში სტიქიით მიყენებული ზარალის სალიკვიდაციოდ მობილიზებული რესურსების გამოყენების სამოქალაქო მონიტორინგისათვის

2015 წლის ივლისი

განაცხადების მოწვევა

ევრაზიის თანამშრომლობის ფონდი იწვევს საპროექტო განაცხადებს, რომელთა მიზანია ეფექტური სამოქალაქო მონიტორინგის განხორციელება 2015 წლის 13-14 ივნისს თბილისში სტიქიით დაზარალებულთათვის დახმარების ფონდში მობილიზებული ფულადი და მატერიალური რესურსების, ასევე ქალაქის დაზიანებული ინფრასტრუქტურის აღდგენაზე გამოყოფილი თანხების და რესურსების, მიზნობრივ გამოყენებაზე.

აღნიშნული კონკურსი ტარდება ფონდის „თანამონაწილეობა და მონიტორინგი ცვლილებებისათვის“ პროგრამის ფარგლებში. ზემოაღნიშნული კონკრეტული მიზნის გარდა, კონკურსის უფრო ფართო მიზანია რიგითი მოქალაქეების, სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებისა (სსო) და მედია საშუალებების აქტიური და ინფორმირებული მონაწილეობის უზრუნველყოფა პოლიტიკურ და ეკონომიკურ გადაწყვეტილებების პროცესში, ასევე არასამთავრობო სექტორის უნარ-ჩვევების განვითარება შედეგზე ორიენტირებული მონიტორინგისა და მოქალაქეთა ინტერესების დაცვისათვის.

ზოგადი ინფორმაცია ფონდზე

ევრაზიის თანამშრომლობის ფონდის მისიას, პრაქტიკული პროგრამების განხორციელებით, საშუალება მისცეს მოქალაქეებს, თავიანთი წვლილი შეიტანონ სოციალური სამართლიანობის დამკვიდრებასა და ეკონომიკური კეთილდღეობის ზრდაში, რათა გაუმჯობესდეს მათი და მათ გარშემომყოფთა ცხოვრება. მიზნობრივი პროგრამების მხარდაჭერის და საგრანტო კონკურსების გზით, ევრაზიის თანამშრომლობის ფონდი მიმდინარე სოციალურ, ეკონომიკურ და პოლიტიკურ მოვლენებში მოქალაქეთა აქტიურ თანამონაწილეობას უზრუნველყოფს, რაც ადგილობრივ, რეგიონულ თუ ეროვნულ დონეზე პოზიტიურ ცვლილებებს უწყობს ხელს.

ევრაზიის თანამშრომლობის ფონდი 2008 წლის თებერვალში დაფუძნდა როგორც ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაცია. ფონდის მანდატები და მიდგომები მოიცავს შემდეგ მიმართულებებს: სამოქალაქო მონიტორინგი, კორპორატიული და საზოგადოებრივი ფილანტროპია, მტკიცებულებებზე დაფუძნებული ადვოკატირება და საჯარო პოლიტიკის შემუშავება, საზღვრისპირა და თემთაშორისი თანამშრომლობა, გენდერის ინტეგრაცია პროგრამებში, ახალგაზრდების ინტეგრაცია, სექტორებს შორის თანამშრომლობა და ღია კარი.

მანდატებისა და მიდგომების ფარგლებში, ევრაზიის თანამშრომლობის ფონდი შემდეგ პროგრამებს ახორციელებს: თანამონაწილეობა და მონიტორინგი

ცვლილებებისთვის, ახალგაზრდული ინტეგრაცია, ევროპული ინტეგრაცია, სოციალური მეწარმეობის განვითარება და ღია კარის საგრანტო პროგრამა.

ფონდის დონორებისა და პარტნიორების რიცხვში არიან ევროკავშირის დელეგაცია საქართველოში (EU), შვედეთის საერთაშორისო თანამშრომლობისა და განვითარების სააგენტო (Sida) და ა.შ. ევრაზიის თანამშრომლობის ფონდი ევრაზიის ქსელის წევრია, რომელიც აღმოსავლეთ ევროპაში, სამხრეთ კავკასიაში, რუსეთში, ცენტრალურ აზიასა და ამერიკის შეერთებულ შტატებში მოქმედ რვა დამოუკიდებელ ფონდს აერთიანებს

პრობლემის განსაზღვრა

2015 წლის 13-14 ივნისს მომხდარი სტიქიის შედეგების აღმოფხვრისა და დაზარალებულთა დასახმარებლად სახელმწიფო ხაზინაში შეიქმნა სპეციალური ანგარიშები, სადაც მობილიზებულია შემოწირულობები კერძო პირებისა და ორგანიზაციებისგან. ფუნქციონირებს დახმარების გაწევის სხვადასხვა ცენტრი, სადაც ასევე ხდება დაზარალებულთათვის მატერიალური თუ ფულადი დახმარების მობილიზება. ამას გარდა, ქალაქის ინფრასტრუქტურისათვის მიყენებული ზარალის სალიკვიდაციოდ, სახელმწიფო ბიუჯეტიდან და დონორების მხრიდან მობილიზებულია მნიშვნელოვანი ფულადი რესურსები.

იმისათვის, რომ მაქსიმალურად უზრუნველყოფილი იყოს დაზარალებულთა დახმარების და ქალაქის დაზიანებული ინფრასტრუქტურის აღდგენის პროცესის გამჭვირვალობა და ეფექტურობა, საჭიროა სანდო, კვალიფიციური და მიუკერძოებელი სამოქალაქო მონიტორინგის წარმოება, რათა დროულად იყოს გამოვლენილი რესურსების შესაძლო არაეფექტური ან არამიზნობრივი გამოყენება და მოხდეს ადვოკატირება პროცესის კანონიერად და დაზარალებულ მოქალაქეთა საჭიროებების შესაბამისად წარმართვისათვის.

მიზანი

განაცხადების მოწვევის მიზანია მხარი დაუჭიროს სამოქალაქო სექტორს განახორციელოს ეფექტური სამოქალაქო მონიტორინგი და ადვოკატირება 2015 წლის 13-14 ივნისს თბილისში სტიქიით დაზარალებულთა დახმარებისათვის მობილიზებული ფულადი და მატერიალური რესურსების, ასევე ქალაქის დაზიანებული ინფრასტრუქტურის აღდგენაზე გამოყოფილი თანხების და რესურსების, დაზარალებულ მოქალაქეთა საჭიროებების და კანონის შესაბამისად გამოყენებაზე.

ამ მიზნის მისაღწევად, ფონდი ითხოვს განაცხადებს, მკვეთრად გამოხატული მონაწილეობითი სამოქალაქო მონიტორინგის მეთოდოლოგიით, რაც არა მარტო სახელმწიფოს მუშაობის ეფექტურობას და გამჭვირვალობას აფასებს, არამედ უზრუნველყოფს დაინტერესებული ჯგუფების (ამ შემთხვევაში, დაზარალებულების) მონაწილეობას საჯარო პოლიტიკის შემუშავებასა და მისი განხორციელების მონიტორინგში.

შერჩევა

უპირატესობა მიენიჭება იმ განაცხადებს, რომლებიც წარმოადგენენ

1. მონიტორინგისა და ადვოკატირებისათვის შერჩეული პრობლემის აქტუალობის დამაჯერებელ და ფაქტებით გამყარებულ დასაბუთებას (მაგ. კვლევები, საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვები)
2. შედეგზე-ორიენტირებულ და შესრულებად სამოქმედო გეგმას, რომელიც უზრუნველყოფს დაინტერესებულ ჯგუფთა ფართო მონაწილეობას მონიტორინგისა და ადვოკატირების პროცესში
3. მონიტორინგისა და ადვოკატირების პროცესში სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებისა და მედიის ურთიერთქმედების გააზრებულსტრატეგიას
4. მონიტორინგისა და ადვოკატირების პროცესში საჯარო ხელისუფლებასთან ურთიერთქმედების გააზრებულ სტრატეგიას
5. სამიზნე ჯგუფებისათვის მონიტორინგისა და ადვოკატირების კამპანიის განხორციელებისათვის საჭირო ცოდნისა და პრაქტიკულ უნარ-ჩვევების გადაცემის ეფექტურ სამოქმედო გეგმას
6. პროექტის მონიტორინგისა და შეფასების და მისი შედეგების გაზომვის გეგმას, დაფუძნებულს საიმედო საბაზისო მონაცემებსა და ინდიკატორებზე
7. გენდერული ანალიზს, რათა უზრუნველყოფილ იქნას პროექტის საქმიანობებსა და გადაწყვეტილებების მიღებაში ქალებისა და მამაკაცების თანაბარი ჩართულობა და პროექტის შედეგებზე მათი თანაბარი წვდომა

პროექტების შეფასებისას ასევე გამოყენებული იქნება შემდეგი ზოგადი კრიტერიუმები:

1. კონკურსის ამოცანებთან და პირობებთან შესაბამისობა
2. პროექტის მეთოდოლოგიის ეფექტურობა
3. შიდა და გარე რისკების დასაბუთებული ანალიზი და რისკების დამლევის ეფექტური მეთოდები
4. პროექტის რელევანტურობა და მისი ზეგავლენის მასშტაბი
5. კონკრეტული ინფორმაცია ძირითადი ინტერესთა ჯგუფებისა და პარტნიორების პროექტში ჩართვის მზადყოფნაზე
6. პროექტის მდგრადობა (გთხოვთ გაითვალისწინოთ რომ მდგრადობა ეხება საქმიანობას, სტრუქტურებს, ცოდნას და შედეგებს, რაც პროექტის განხორციელებიდან გამომდინარეობს)
7. ორგანიზაციის უნარი განახორციელოს პროექტი, რომელიც შემდეგში გამოიხატება (i) ორგანიზაციის პერსონალის და/ან ჩართული ექსპერტების კვალიფიკაცია; (ii) მონიტორინგისა და ადვოკატირების წარსული გამოცდილება; (iii) გრანტის მართვის უნარი
8. პროექტის ხარჯთეფექტურობა და თანადაფინანსების შესაძლებლობები

შერჩევის პროცესი

ობიექტური და მიუკერძოებელი შერჩევის უზრუნველსაყოფად პროექტები განიხილება დამოუკიდებელ ექსპერტთა კომისიის მიერ. საბოლოო გადაწყვეტილება გრანტით დაჯილდოებაზე მიიღება ევრაზიის თანამშრომლობის ფონდის მიერ. ფონდი იტოვებს უფლებას არ დააფინანსოს პროექტი, თუკი მისი ხარისხი არაა დამაკმაყოფილებელია.

წარმოდგენილი პროექტების განხილვის პროცესში მონაწილეებს შეიძლება მოეთხოვოთ დამატებითი ინფორმაცია. განმცხადებელმა მოთხოვნილი ინფორმაცია უნდა წარმოადგინოს მოთხოვნიდან 3 (სამი) სამუშაო დღის განმავლობაში.

პროექტის შედეგების შეფასება

პროექტის მიზნებისა და ამოცანების შესრულების ხარისხის დასადგენად, ევრაზიის თანამშრომლობის ფონდმა შეიძლება ჩაატაროს საგრანტო პროექტების დამოუკიდებელი შეფასება.

საგრანტო თანხა

თვითოეულ პროექტზე გათვალისწინებული საგრანტო თანხის მაქსიმალური ოდენობა შეადგენს **25,000 (ოცდახუთი ათას ლარს)**, ხოლო პროექტით გათვალისწინებული აქტივობების ხანგრძლივობა არა ნაკლებ **10 თვეს**.

საგრანტო თანხა შეიძლება გამოყენებული იქნეს შემდეგი ხარჯებისთვის:

1. მონაცემებისა და ფაქტების შეგროვებასთან დაკავშირებული ხარჯები
2. პროექტთან დაკავშირებული პირდაპირი ხარჯები (მაგ. ფართის დაქირავება, თარგმანი, ტექნიკის შეძენა და ა.შ.)
3. კომუნიკაციები პარტნიორ ორგანიზაციებს შორის (ტელეფონი, ფაქსი, ელ-ფოსტა)
4. პროპორციულად განაწილებული ხელფასები პროექტის ძირითად მონაწილეებისათვის (მაგ. დირექტორი, ბუღალტერი) და ზომიერი ჰონორარები პროექტის ექსპერტებისათვის. პროექტის მონაწილეთა ხელფასებსა და პროექტის საქმიანობისათვის დახარჯულ საათების რაოდენობის შესახებ წარმოდგენილ უნდა იყოს მკაფიო ახსნა განმარტება
5. პროექტის მონაწილეთა ტრანსპორტირება
6. შეზღუდული ოდენობით ტექნიკისა (მაგ. ფაქსი, კომპიუტერი, პროგრამული უზრუნველყოფა) და საკანცელარიო ნივთების შეძენა
7. პროექტთან უშუალოდ დაკავშირებული სხვა ხარჯები

საგრანტო თანხები შეიძლება გამოყენებული იყოს მხოლოდ პროექტის განხორციელებასთან უშუალოდ დაკავშირებული საქმიანობების დასაფინანსებლად. საგრანტო თანხა არ შეიძლება გამოყენებული იყოს ორგანიზაციის მიმდინარე ხარჯების ან ვალების დასაფარად, სამშენებლო მიზნებისთვის ან უძრავი ქონების შესასყიდად.

ევრაზიის თანამშრომლობის ფონდი არ აფინანსებს:

- ჰუმანიტარული სახის პროექტებს
- პოლიტიკურ საქმიანობას ან რომელიმე პოლიტიკური პარტიის მხარდაჭერას
- პოლიტიკური მიზნების ლობირებას (ფონდმა შეიძლება მხარი დაუჭიროს მხოლოდ საზოგადოებრივი და სოციალური სარგებლის მომტან საკითხების ლობირებას)
- განმცხადებლის სასამართლო საქმეების განხილვას ან სასამართლო დავებს
- რელიგიურ საქმიანობას
- პროექტებს მშენებლობის დარგში, რომლებიც განკუთვნილია კომერციული მიზნებისათვის
- ნებისმიერი სახის სამხედრო საქმიანობას
- მცირე კრედიტებს და სესხებს, საწყის კაპიტალს მეწარმეებისათვის
- თეორიულ კვლევებს
- ინდივიდუალური სამოგზაურო ან სასწავლო გრანტებს
- სამედიცინო აღჭურვილობის შეძენას

კონკურსში მონაწილეობა

კონკურსში მონაწილეობის მიღება შეუძლია საქართველოში რეგისტრირებულ სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებს, სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციათა კოალიციებს, სათემო ორგანიზაციებსა და მედია საშუალებებს. მედია საშუალებებს კონკურსში მონაწილეობა შეუძლიათ მხოლოდ არასამთავრობო ორგანიზაციებთან პარტნიორობის საფუძველზე.

სახელმწიფო უწყებების თანამშრომლებს, პოლიტიკური პარტიების ლიდერებსა და წევრებს, მოქმედი პარლამენტის წევრებს, ასევე საზოგადოებრივი მაუწყებლის თანამშრომლებს არ შეუძლიათ მონაწილეობა მიიღონ კონკურსში როგორც პროექტის დირექტორს ან პროექტის ანაზღაურებად მონაწილეს.

განაცხადის წარდგენის პროცედურა

განმცხადებლებმა ევრაზიის თანამშრომლობის ფონდში უნდა წარადგინონ შემდეგი დოკუმენტები:

- პროექტის სრული განაცხადი დეტალური ბიუჯეტით 6 (ექვსი) ასლი ქართულ, რუსულ ან ინგლისურ ენებზე ევრაზიის თანამშრომლობის ფონდის პროექტის შედგენის ინსტრუქციების თანახმად. კონკურსის ეტაპზე გრანტ-მენეჯმენტის კითხვარის წარმოდგენა საჭირო არ არის
- დეტალური და პუნქტობრივად გაწერილი ბიუჯეტი, ევრაზიის ფონდის ინსტრუქციების შესაბამისად
- განაცხადი ჩაითვლება არასრულად და არ იქნება განხილული თუ წარმოდგენილი იქნა პროექტის წინასწარი განაცხადის ფორმით

კონკურსში წარმოდგენილი პროექტები უნდა წარმოადგენდეს ორიგინალს (დამოწმებული ორგანიზაციის ბლანკით ან შტამპით და დირექტორის ხელმოწერით) და იყოს მხოლოდ და მხოლოდ განმცხადებელი ორგანიზაციის ნამუშევარი. ნებისმიერ პლაგიატობას შედეგად მოჰყვება ორგანიზაციისა და პროექტის დაუყოვნებლივი დისკვალიფიკაცია კონკურსიდან.

კონკურსზე წარმოდგენილი ყველა მასალა და დოკუმენტი რჩება ევრაზიის თანამშრომლობის ფონდის განკარგულებაში. განმცხადებლის მიერ წარმოდგენილ ინფორმაციას ფონდი გამოიყენებს მხოლოდ და მხოლოდ განხილვის მიზნით და არ მიაწვდის ამ ინფორმაციას გარეშე პირებს ან ორგანიზაციებს, იმათ გარდა, რომლებიც გათვალისწინებულია საქართველოს კანონმდებლობით ან მოთხოვნილია ევრაზიის თანამშრომლობის ფონდის დამფინანსებლების მიერ.

განაცხადის ფორმები, პროექტის შედგენის გზამკვლევი და სხვა ინსტრუქციები შეგიძლიათ ჩამოტვირთოთ ფონდის ვებ-გვერდიდან www.epfound.ge იქვე შეგიძლიათ იხილოთ სასარგებლო ინფორმაცია (ბმულები და დოკუმენტები) რომლებიც დაგეხმარებათ პროექტის შედგენაში.

საკონტაქტო ინფორმაცია

ევრაზიის თანამშრომლობის ფონდის მისამართია:

ქ. თბილისი, 0179, კავსადის ქ #3, 2-ე სართული,

ტელ/ფაქსი: (+995 32) 225-3942, 225-3943.

საკონტაქტო პირი: რუსუდან ჯანდიერი, პროგრამის ასისტენტი
rjandieri@epfound.ge

კონკურსის განრიგი

კონკურსის გამოცხადება - **2015 წლის 30 ივნისი**

კონკურსზე კონსულტაციის ღია კარის დღე - **2015 წლის 13 ივლისი 15:00-17:00**

ფონდის ოფისში პროექტების წარდგენის ბოლო ვადა **2015 წლის 21 აგვისტო 17:00**
(თბილისის დროით)

გამარჯვებული პროექტების გამოცხადება: **2015 წლის 4 სექტემბერი.**